


# Capatect Fensterbank Keilplatte 063/50-52


გამოყენებისთვის მზა, ფანჯრის რაფის საიზოლაციო XPS-ის ფილა - ლამინირებითა და მინაბოჭკოვანი ბადით.

## პროდუქტის აღწერა

|                        |  |
|------------------------|--|
| გამოყენების სფეროები   | XPS-ის (ექსტრუდირებული პოლისტიროლი) დამატბუნებელი ფილა, მზა ზედაპირით და სპეციალური, საჭირო დახრით. ფანჯრის რაფის საიზოლაციოდ და მოსამზადებლად. Capatect-ის ფასადის თერმოსაიზოლაციო სისტემებში გამოსაყენებლად.   |
| თვისებები              | <ul style="list-style-type: none"><li>■ ფანჯრის რაფის სისტემის გადაწყვეტა</li><li>■ წვიმისგან დამცავი მჭიდრო დალუქვის დონე - მინიმუმ 600 Pa</li><li>■ გამოყენებისთვის მზა</li><li>■ დახრის კუთხე: 5°</li><li>■ მარტივი და სწრაფი დამუშავების პროცესი</li><li>■ ჩაშენებული მინაბოჭკოვანი ბადით</li></ul>  |
| ფერი                   | ზედა მხარე: ნაცრისფერი<br>მასალა: ნაცრისფერი<br>ბადე: თეთრი  |
| შეფუთვის ზომები        | იჭრება სასურველ ზომაზე (სამუშაო ობიექტის მიხედვით)<br>ერთეულის სიგრძე: მაქს. 3,0 მ.<br>სიღრმე: 200, 300 და 400 მმ. (ადაპტირებადი)<br>წინა კიდის სიმაღლე: $\geq 10$ მმ.<br>დახრის კუთხე: 5°   |
| შენახვის პირობები      | შენახვით ჰორიზონტალურ მდგომარეობაში, დაიცავით პირდაპირი მზის სხივებისგან, გახურებისგან და მექანიკური დატვირთვების ხანგრძლივი ზემოქმედებისაგან.   |
| ტექნიკური პარამეტრები  | <ul style="list-style-type: none"><li>■ თბოგამტარობა: 0,031 W/(mK) - DIN 4108-4-ის მიხედვით, საიზოლაციო მასალებისთვის</li><li>■ კომპრესიული დატვირთვა 10% შეკუმშვისას: 300 kPa - EN 826-ის მიხედვით</li><li>■ სიმკვრივე: დაახლ. 34 კგ/მ<sup>3</sup>, საიზოლაციო მასალებისთვის</li><li>■ აალება: ევროკლასი E - DIN EN 13501-1-ის მიხედვით, საიზოლაციო მასალებისთვის</li></ul> |
| მხარდამჭერი პროდუქტები | Capatect Fensteranschlussfolie<br>689/10-12 Capatect Fensterecke Konkav<br>689/13 Capatect Kleber SP 25<br>Capatect Kleber SP 350<br>Capatect EcoFix 055/20  |
| პროდუქტის კოდი         | 063/050-52   |



Capatect Fensterbank Keilplatte 689-ის ამალების პროცესი:



## გამოყენება

ზედაპირის მომზადება

დასამუშავებელი ზედაპირი უნდა იყოს სუფთა, მშრალი, მყარი, მზიდუნარიანი და თავისუფალი განმაცალკეველები ნივთიერებებისგან. ნალესის უსწორმასწორო ადგილები უნდა გასწორდეს. შემწოვი, ან ფხვიერი ზედაპირები კარგად უნდა გაიწმინდოს და დაიგუნტოს - Sylitol® RapidGrund 111-ით. ფასადის თერმოსაიზოლაციო ფილები უნდა იყოს სუფთა და თავისუფალი განმაცალკეველები ნივთიერებებისგან.

გამოყენების პირობები

დამუშავების და შრობის დროს გარემოს და ზედაპირის ტემპერატურა არ უნდა იყოს +5°C-ზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს +30°C-ს.

დატანის მეთოდები

**ზომაზე დაჭრა:**

Capatect Fensterbank Keilplatte 063-ის საჭირო სიგრძეზე/სიღრმეზე დაჭრა უნდა განხორციელდეს მხოლოდ სამუშაო ადგილას. ზუსტ ზომაზე გამოჭრა უნდა მოხდეს შესაფერისი ხელსაწყოთი. ზომაზე მოჭრის შემდეგ, უსწორმასწორო კიდეები უნდა დამუშავდეს და მიეცეს სწორი გეომეტრიული ფორმა.

Capatect Fensterbank Keilplatte 063-ის დაყენებამდე დარწმუნდით, რომ ბოლო ფასადის თერმოსაიზოლაციო ფილის სიმაღლის დონე და შეერთების ადგილი, შესაბამება შემდგომ სამონტაჟო პოზიციას.

გაჭერით Capatect Fensterbank Keilplatte 063 კიდის სიღრმეზე. წაუსვით: Capatect EcoFix 055/20-ი ზედაპირზე - ნებოვან ზოლებად, მთელი პერიმეტრის ჩახურვით, რომ შემდეგ დააწებოთ Capatect Fensterbank Keilplatte 063-ი. გაასწორეთ 5° ფერდობზე, საჭიროების შემთხვევაში მიიღეთ ზომები პოზიციის დასაფიქსირებლად.

როდესაც დაწეპებული ფილა და საარმირო მასა საკმარისად გაშრება, მჭიდროდ დააწებეთ Capatect Fensteranschlussfolie 689 (დამაკავშირებელი ფირი) ფანჯრის ჩარჩოზე - პროდუქტით/ნებოთი: Capatect Kleber SP 25 689/17. შემდეგ უნდა მოხდეს Capatect Fensterecke Konkav 689/13-ის დაწეპება ფანჯრის ჩარჩოს კუთხეებში და ფანჯრის დამაკავშირებელ ფირზე (იგივე ნებოთი).

დამასრულებელი/მოსაპირკეთებელი ბათქამის დატანის და გაშრობის შემდეგ, უნდა მოხდეს ფანჯრის რაფის პარაპეტზე დაწეპება - პროდუქტით/ნებოთი: Capatect Kleber SP 350. ჰერმეტიკების დონიდან დაახლ. 8მმ-ზე, მანძილი ერთმანეთისგან დაახლ. 200.მმ. - ფასადის მიმართულებით.

**მითითება:**

მეორე იზოლაციის დონის შექმნის შემდეგ, ფანჯრის რაფის სამაგრების გამოყენება შეუძლებელია. მონტაჟის დასრულების შემდგომ, ფანჯრის რაფა უნდა იყოს დანოლილი და დამაგრებული ისე, რომ მეორე იზოლაციის დონის დრენაჟის ადგილი ეფექტური დარჩეს. დრენირების დონემდე მანძილი არ უნდა იყოს 4 მმ-ზე ნაკლები, რათა წყლის წვეთებს გადინების საშუალება ჰქონდეთ.

## მითითებები

უსაფრთხოების ზომები

მუშაობის მსვლელობისას წარმოქმნილი მტკვრის შემთხვევაში, ატარეთ დამცავი ტანსაცმელი და მტკვრისგან დამცავი ნიღაბი - P1. ატარეთ დამცავი სათვალები, მექანიკური დამუშავების დროს (საშლიფი სამუშაოები).

ტექნიკური კონსულტაცია

მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევები პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შექმნა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

**შპს კაპაროლ ჯორჯია**

აღ. ქართველიშვილის ქ. N8,  
0198 თბილისი საქართველო  
office@caparol.ge  
www.caparol.ge